პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ. წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფ. ხი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

137 (1132) | კვირა, 18 ივლისი 1926 წ. | 137 (1132)

## ემზადეთ მანევრებისათვის'

საზანაკო სწავლება უახლოვდება თავის საბოლოო საფეხურს. მალე დაიწყება ბანაკში გასული ნაწილების მანევრები.

მანევრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წითელი ჯარის საბრძოლო მომზადების საქმეში. მანევრი—გამოცდა არის ჯარის ყველა ნაწილებისა და ყველა სახის იარაღებისა, ყველა მეთაურთა, პოლიტმომუშავეთა და წითელ მებრძოლთა საბრძოლო მომზადების მხრივ. მანევრმა უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენათ მოემზადენ სამხედრო საქმეში ჩვენი წითელ არმიელები და ცალკე ნაწილები, რამდენათ კარგად მოქმედობენ ისინი ბრძოლის პირობებში.

მანევრები—გამოცდა არის აგრეთვე იმისი თუ რამდენათ არიან მომზადებული ნაწილები პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობისათვის ლაშქრობისა და ბრძოლის პირობებში.

და ბოლოს მანევრები გამოაშკარავებს ყველა წითელ არმიელის სამხედრო-პოლიტიკური მომზადების დონეს, აგრეთვე იმას, თუ რამდენათ ძლიერია მათში შემდეგი საბრძოლო თვისებები: გამძლეობა, სიმტკიცე, დისციპლინიანობა, საბრძოლო მომზადება, სისწრაფე და სხვა.

ასეთია საერთოდ მანევრების მნიშვნელობა.

მანევრი, ასე ვსთქვათ, ჯამს უკეთებს მთელ სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას და ნათლად გვაჩვენებს, თუ რა გაკეთდა ამ მხრივ, როგორც მთელი ჯარის, ისე ცალკე ნაწილისა თუ მებრძოლის მიერ, რა მიღწევებია და რა ნაკლს აქვს ადგილი.

ამიტომაც ყოველი წითელ არმიელი, მეთაური თუ პოლიტმომუშავე, ყოველი ცალკე ნაწილი ენერგიულად უნდა შეუდგეს მანევრებისათვის მზადებას. ყველამ უნდა ეცადოს წარმატებით ჩაატაროს საბრძოლო გამოცდა.

ამისათვის კი საჭიროა მიმდინარე სწავლების ერთი-ორად გაღრმავება, მეტი ყურადღების მიქცევა დისციპლინის განმტკიცებისათვის. ყოველმა წითელ არმიელმა მტკიცედ უნდა დაუსვას თავის თავს კითხვა: რა გავაკეთე? რა გაკლია სამხედრო და პოლიტიკური მომზადების მხრივ? და უნდა ეცადოს თუ რაიმე ნაკლი აქვს ამ მხრივ დაუყონებლივ გამოასწოროს თვით ან უფროსის დახმარებით.

მანევრებისათვის უნდა ემზადონ აგრეთვე ყველა თვითმოქმედ ორგანიზაციები და კედლის გაზეთების რედკოლეგიებიც. მანევრების დროს მათაც უნდა გამოიჩინონ უნარი, თუ რამდენათ ნაყოფიერად შეუძლიათ მუშაობა ომიანობის დროს.

სამხედრო-პოლიტიკური სწავლების გაძლიერებით და გაღრმავებით ვემზადოთ მანევრებისათვის.

1884

## უნგრეთის კომუნისტების გასამართლება.

უნგრეთში დაიწყო კომუნისტების გასამართლება. მათ რიცხვშია ცნობილი ბელადი უნგრეთის კომუნისტური პარტიისა ამხ. რაკოში.

მატიას რაკოში ითვლება უნგრეთის კომუნისტურ პარტიის ერთ-ერთ დამაარსებლად. ის სახალხო კომისარი იყო, როცა უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა. მაგრამ, როგორც ვიცით, ევროპის გაერთიანებულმა რეაქციამ უნგრეთის კონტრრევოლიუციასთან ერთად შესძლო უნგრეთის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განადგურება. მას შემდეგ იქ გაბატონდა უნგრელი მუშების და გლეხების ცნობილი ჯალათი ადმირალი ხორტი, რომელმაც საშინელი თეთრი ტერორისა და უმაგალითო ძალმომრეობის რეჟიმი დაამყარა.

ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის წყალობით უნგრეთი დღეს ღრმა ეკონომიურ კრიზისს განიცდის.

აგრარული კრიზისი, უმუშევრობა, წარმოების დაცემა —აი უნგრეთის დღევანდელი სურათი. გლეხები მოითხოვენ მიწას, მუშათა მასებში იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა.

უნგრეთის რეაქციონური მთავრობა დაუნდობლად ებრძვის მშრომელთა მოძრაობის ყოველგვარ ნასახს. ის ხელს არ ახლებს მხოლოდ გამცემლურ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც მთელი თავისი მოქმედებით ხელს უწყობს რეაქციონურ მთავრობას. თვით უნგრეთის მთავრობამ ხომ საქვეყნოდ გაითქვა თავი თავისი აფერისტობით! ამას წინად გამოაშკარავებულ იქნა, რომ უნგრეთის მთავრობის დახმარებით იჭრებოდა საფრანგეთის ყალბი ფულის ნიშნები.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო აღაშფოთა ფართო მასები. და აი შერყეული ავტორიტეტის განსამტკიცებლად და უცხოეთიდან, ე. ი. უმთავრესად ინგლისიდან სესხის მისაღებად უნგრეთის მთავრობამ მოაწყო კომუნისტების გასამართლება.

უნგრეთის მთავრობა ერთხელ შეეცადა ამხ. რაკოშის სამხედრო საველე სასამართლოს ხელში გადაცემას, მაგრამ ამ განზრახვის შესრულებაში ხელი შეუშალა საერთაშორისო პროლეტარიატის ენერგიულმა ჩარევამ.

უკვე ოთხი დღეა, რაც სასამართლო პროცესი გრძელდება, ბრალდებულები იშვიათ რევოლიუციონურ სიმტკიცეს და გმირობას იჩენენ.

ცხადია, უნგრეთის ფაშისტური სასამართლო სიკვდილის განაჩენს უმზადებს უნგრეთის მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილებს.

საერთაშორისო პროლეტარიატმა კვლავ უნდა აღიმაღლოს თავისი მრისხანე ხმა, რომ შეაჩეროს ჯალათის ხელი და სიკვდილს გადაარჩინოს რაკოში და მისი ამხანაგები.

—ე.

# ჩემბერლენი ახალი ულტიმატუმით იმუქრება

## საბჭოთა კავშირში გამოემგზავრება ბელგიის მუშათა დელეგაცია

### ბულგარეთსა და ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულება რთულდება.

## კვლავ წამოყვეს თავი

ინგლისის კაპიტალისტებმა ჯერ კიდევ კერძონის პირით მოსთხოვეს საბჭოთა კავშირს ოქტომბრის რევოლიუციისა და სამოქალაქო ომების დროს რუსეთში მყოფ ინგლისის მოქალაქეთა დაზარალებულ ქონების ანაზღაურება.

მაშინ შესაფერი პასუხი გასცა მშრომელთა სახელმწიფომ ამ გათავხედებულ მოთხოვნილებას და აქამდე ამის შესახებ აღარა უთქვამთ რა.

ამ ჟამად კი ეს საკითხი კვლავ წამოაყენეს ინგლისის პარლამენტში.

ჩემბერლენმა, რომელიც გამოვიდა შეკითხვაზე, განაცხადა რომ ინგლისის მთავრობა წაუყენებს საბჭოთა მთავრობას ინგლისის ქვეშევრდომთა მთელ რიგ პრეტენზიებს და მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებული იქნენ ისინი.

ამნაირად ინგლისის მთავრობა ახალ ულტიმატუმს ამზადებს საბჭოთა კავშირისადმი.

## მუშები იცავენ თავის მოთხოვნილებებს.

მთამადნელი მუშები უმნიშვნელო რიცხვის გამოკლებით კვლავ ენერგიულად იცავენ თავის მოთხოვნილებებს.

ტრედიუნიონების გენერალური საბჭო დასთანხმდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევაზე გაფიცულ მუშებისთვის დახმარების აღმოჩენის მოსაწყობათ. კომიტეტის სხდომები შესდგება ამ ახლო მომავალში.

კუკმა განაცხადა: მთამადნელ მუშების სამი ძირითადი მოთხოვნილების გარშემო ბრძოლა შეურყევლად სწარმოებს. მუშები არ დასთმობენ ამ პირობებს. ესენი არიან:

**1) არც ერთი კაპეიკი სამუშაო ხელფასიდან, 2) არც ერთი წუთის მომატება სამუშაო დღეზე და 3) მალაროს პატრონებთან შეთანხმება მუშაობის პირობების შესახებ უნდა მოხდეს მხოლოდ ინგლისის საერთო მასშტაბით.**

## გათავხედებული კონსერვატორები

არბელხტოვლში შესდგა კონსერვატორული პარტიის მემარჯვენე ფრთის მიერ მოწვეული საპროტესტო მიტინგი „საბჭოთა კავშირის ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევის წინაალმდეგ“.

კონსერვატორ ლოკერ ლემპსონმა თავის სიტყვაში განაცხადა: „მუშათა პარტია მოსკოვიდან მიღებული ბრძანების თანახმად თავს ესხმის ინგლისის მინისტრებს, ინგლისის პრესტიჟის დაცემის მიზნით„.

„საბჭოებმა უნდა გადაუხადონ ინგლისს 950 მილიონი გირვანქა სტერლინგი; რა აზრია ვიცნოთ ეს „ყაჩაღური“ საზოგადოება, სანამ ის არ დააბრუნებს ჩვენს საკუთრებას ან არ გადაიხდის მასო“.

## ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოხდა შეთანხმება

**საფრანგეთი 62 წლის განმავლობაში გადაიხდის ინგლისის ვალებს**

საფრანგეთს აქვს ინგლისის 2 მილიარდზე მეტი გირ. სტერლინგი (1 სტერლინგი = 10 მანეთს).

ამ რამოდენიმე დღის წინად ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოხდა შეთანხმება სამხედრო ვალების შესახებ. ინგლისმა შეაწია საფრანგეთს მთელი ვალების სამი მეხუთედი. ეს მან ჩაიდინა იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს საფრანგეთისათვის ვალის გადახდა და მისგან რაიმეს მიღება.

**საფრანგეთი ყოველწლიურად გადაუხდის ინგლისს 12 ნახ. მილიონ გირვ. სტერლინგს. 62 წლის განმავლობაში მან უნდა გასტუმროს ინგლისის მთელი ვალები.**

ამ შეთანხმებით ინგლისის კაპიტალისტები ეუბნებიან ამერიკას:—შეხედეთ, როგორი კარგი და კეთილი ხალხი ვართ, საფრანგეთს ვაპატიეთ ვალების ნახევარზე მეტი, ნუ თუ თქვენ არ აიღებთ ჩვენგან მაგალითს და არ შეგვიკეცავთ ვალებს ჩვენცო.

## რაკოშისა და მისი ამხანაგების გასამართლება

**უნგრეთის კომუნისტები იბრძოდენ და მედგრად იბრძოლებენ საბჭოთა უნგრეთისათვის. კომუნისტებმა გაილაშქრეს ბურჟუაზიული სასამართლოს წინაალმდეგ.**

უკვე ოთხი დღეა გრძელდება უნგრელი კომუნისტების პროცესი. ბრალდებულებსა და სასამართლოს თავმჯდომარეს შორის ხშირად აქვს ადგილი შეხლა-შემოხლას. სასამართლოს თავმჯდომარე თავგამოდებით იცავს კომუნისტების თავდასხმისაგან მეორე ინტერნაციონალს და უნგრელ მენშევიკებს.

ვეირბერგერმა განაცხადა, რომ ის თავისი სურვილით დაბრუნდა უნგრეთში 1925 წელს კომუნისტური ორგანიზაციების მოსაწყობად.

„ჩვენ კომუნისტები განვაგრძობთ არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზია ცდილობს ჩვენს განადგურებას.

**უნგრელი კომუნისტების საბოლოო მიზანია უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა და უახლოესი ამოცანა კი კომპარტიის ლეგალობის მოპოება.**

1919 წელში უნგრეთში საბჭოთა რესპუბლიკის დამარცხების მიზეზად ვეინბერგერმა ჩასთვალა მენშევიკები.

სხვა ბრალდებულებმა უარი განაცხადეს სასამართლოსათვის პასუხის მიცემაზე და განაცხადეს:

**ჩვენ არ გვსურს დავიცვათ თავი ბურჟუაზიული სასამართლოს წინაშე. ჩვენ პასუხ-სმგებელი ვართ კომპარტიის წინაშეო.**

ბრალდებულებმა ერთხმად განაცხადეს, რომ საპყრობილეში მათ სასტიკად აწვალებდენ და სცემდენ.

## ბელგიის მუშათა დელეგაცია

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს საერთაშორისო ბიურომ ბელგიიდან მიიღო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირისაკენ გამოემგზავრა ბელგიის მუშათა დელეგაცია, რომელიც ჩამოვა მოსკოვში 23 ივლისს.

# საბჭოთა მეურნეობა საქართველოში.

### კანაფის კულტურა

საქართველოში არსებობს სააქციო საზოგადოება „კანაფი“. მისი მიზანია ხელი შეუწყოს კანაფის გავრცელებას საქართველოში, რა მიზნითაც ის აწარმოებს მოშენების ცდებს. ცდებმა კარგი შედეგები გამოიღო. ამიტომაც კანაფის თესლის დამზადებას უფრო ფართედ შეუდგენ: დათესელია რამოდენიმე ასი დესეტინა.

### ბარიტის წარმოება გაიზარდა.

მაისის თვესთან შედარებით, ბარიტის წარმოება 100 პროც. გაიზარდა ლეჩხუმში. ივლისში კიდევ ასი პროც. გაიზრდება. წარმოების ზრდამ გამოიწვია მუშა ხელის გადიდებაც 50 პროც.

### ბამბის მოსავალი

შარშან მთელს ამიერკავკასიაში დათესილ იქნა ბამბით 119.264 დესიატინა, ხოლო შეკრეფილ იქნა 4.539.397 ფუთი.

წლეულს მოსალოდნელია მთელ ამიერკავკასიაში შეკრეფილ იქნეს 4.696.724 ფუთი ბამბა.

### მესაქონლეობა ბორჩალოში.

ბორჩალოს აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს მაზრაში მესაქონლეობის საცდელ-საჩვენებელი ფერმა, სადაც მოაშენებენ უცხო ჯიშის საქონელს.

ამასთანავე აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს დაარსოს მერძევემეურნეთა გაერთიანებული კოოპერატიული ამხანაგობა, რომელსაც დაევალება ბაზარი გამოუნახოს მაზრაში დამზადებულ რძის პროდუქტებს.

### მაუდის ფაბრიკა ტფილისში.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ დაამტკიცა გეგმა ტფილისში მაუდის ფაბრიკის აგების შესახებ.

გეგმით გათვალისწინებულია ფაბრიკის ასაგებ საამშენებლო შტატის მოწყობა 18 თანამშრომლისა და ერთი სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობით.

### ხორცის გაიაფება

მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობამ „მწყესმა“ თბილისის მუშკოოპთან შეთანხმებით გადასწყვიტა ძროხის ხორცზე დააწესოს მტკიცე ფასი. დღეიდან აღნიშნული კოოპერატივების ყველა სავაჭროებში ძროხის ხორცი გაიყიდება 30 კაპ.

### სახლების შეკეთება

ტფილისში სწარმოებს საბინაო კოოპერაციის 100 სახლის შეკეთება. კოოპერაციამ გადასწყვიტა იმ შემთხვევაში დაიწყოს დანარჩენ სახლების შეკეთება, თუ სათანადო განცხადება იქნება ამ სახლების მმართველობიდან.

# სამხედრო-ქიმიური საქმე ამერიკაში.

1918 წელში ამერიკამ დაამზადა ლიუზისტის დიდძალი მარაგი, რომელიც სრულიად საკმარისი იქნებოდაგერმანიის ნახევარი დასავლეთის ფრონტის გასანადგურებლად. მაგრამ სანამ ამ საშინელი აირი მიიტანეს ფრონტზე, გერმანია უკვე დამარცხებული იქნა მოკავშირეების მიერ.

ახალი მომწამვლელი ნივთიერება დაწვრილებით იქმნა გამორკვეული და ცნობილი როგორც ძლიერი მომქმედი საწამლავი.

ამჟამად სამხედრო-ქიმიური საქმე ყველაზე უკეთესად დაყენებულია ამერიკაში.

ამერიკას მოეპოება სამხედრო-ქიმიური მასალის დაულეველი წყაროები. ამიტომაც არის, რომ ის ამზადებს მომწამვლელი აირების დიდძალ რაოდენობას, რომელიც იაფად უჯდება.

ამერიკის ქიმიური მრეწველობის ცენტრი ეჯვუდის არსენალია, რომელიც მთელ ქალაქს წარმოადგენს. ამ არსენალში განუწყვეტლივ სწარმოებს ცდები ახალი მხრჩოლავი ნივთიერებებზე და წინად გამოგონებულ საწამლავ ნივთიერებათა გაუმჯობესება.

ამ უკანასკნელ დროს ეჯვუდში მუშაობს ნელსონის 3-500 კამერა, რამაც 100 ტონით გაზარდა დღეში ქლორის დამზადება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურად არსენალი ამზადებს 200 ტონ ქლორს, ე. ი. 5.000 ტონს თვეში და-600.000 კი წელიწადში.

ისმება საკითხი რის გაკეთება შეიძლება მომწამვლელი აირების ასეთი მარაგით, როცა 100-120 ტონი იპრიტი სპობს ყოველგვარი სახის სიცოცხლეს ასეული კვადრატიული კილომეტრის მანძილზე.

მეცნიერული გამორკვევით მუშაობა მჭიდროთ დაკავშირებულია მსხვილ წარმოებასთან, რასაც ხელს უწყობს სამხედრო ქიმიური საზოგადოება. ამავე დროს ხსენებული საზოგადოება განაგებს არმიის სწავლას ამ მხრივ და მისი მომარაგების სათანადო ქიმიური ქონებით, აგრეთვე ხელმძღვანელობს სამხედრო-ქიმიურ სკოლებს და მთელი სახელმწიფოს ქიმიურ თავდაცვას.

თვით ეჯვუდის არსენალში არსებობს სკოლა ქიმინსტრუქტორების მოსამზადებლად და აგრეთვე ნამდვილის სამსახურისა და მარქაფის ოფიცრებისათვის.

დიდი ყურადღება ექცევა ამერიკაში ქიმრეწველობის სამობილიზაციო მომზადებას. ამისათვის მთელი სახელმწიფო დაყოფილია ოლქებათ, სადაც აღრიცხვით აყვანილია ყველა წარმოებები. მოსახლეობის შორის სწარმოებს გაძლიერებული სამხედრო-ქიმიური პროპაგანდა.

ბურჟუაზიის მტკიცება, თითქოს საწამლავი ნივთიერებანი ნაკლები მკაცრი არიან მოკვლის სხვა საშუალებებთან—ჩვენ არ გვჯერა. კაპიტალისტური ქვეყნების გამალებული მუშაობა სამხედრო შეიარაღებათა გადიდების მიზნით, გვიკარნახებს ჩვენ ყოველმხრივ გავაძლიეროთ წითელ არმიის საბრძოლო უნარი და განვამტკიცოთ სახალხო მეურნეობა.

ფრონტის საიმედობა მომავალ ომში დამოკიდებული იქნება ზურგის საიმედობისაგან, მთელი მოსახლეობის მომზადებისაგან ომისათვის, პირველყოვლისა ქიმიური ომისათვის. ამას ჩვენ მივაღწევთ მასიური მუშაობით ავიაქიმის უჯრედებსა და წრეებში.

ა. ბ.

# ბალტიის სახელმწიფოების მოლაპარაკება

14 ივლისს დასრულდა ესტონეთის, ლატვიის და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების არა ოფიციალური თათბირი. ამბობენ, რომ თათბირს პოლონეთის წარმომადგენელიც დაესწრო. თათბირზე ირჩეოდა საგარანტიო ხელშეკრულების დადების საკითხი ს. ს. რ. კ. და ბალტიის სახელმწიფოებს შორის. პოლონეთის წარმომადგენლის მოთხოვნით შეწყვეტილი იქნა საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების განხილვა მანამ არ მოხდება ბალტიის მხრის სახელმწიფოების შეთანხმება პოლონეთთან, პოლონეთის მიერ წამოყენებულ საკითხებში.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი კომუჯრედის კრება.

4 ლეგ. 2 ათასეული

მუშაობა ჩვენ კომუჯრედში ნორმალურ სიმაღლეზე არის დაყენებული. უჯრედის საქმიანობა თავის დაარსებიდან ამ უკანასკნელ დრომდე ნაყოფიერად მიმდინარეობს. წევრთა შორის დისციპლინა დამაკმაყოფილებელია. თვითეულ მათგანს ნათლად აქვს გარკვეული თავის მოვალეობები. ამიტომაც კომუჯრედის ხელმძღვანელსაც დიდათ უადვილდება ყოველივე საქმე. უჯრედის მუშაობაში გვყავს ახალწვეულები ჩაბმული. პირველ მოსვლისთანავე მათ დაავალა კ. უჯრედმა სხვა და სხვა დავალებები. ა. წ. 6 ივლის მოხდა ათასეულის მასშტაბით კრება. კრებაზე გამოცხადდა ყველა წევრი. საერთოდ უმიზეზოდ დაკლებას ადგილი არ აქვს. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები დასმული: 1. მდივნის მუშაობის შესახებ, გეგმის განხილვა, მეორე თვიური ცხრილის განხილვა და მიმდინარე საკითხები. მდივანმა გააშუქა, თუ რა უმუშავნია მას ახალწვეულების მოსვლის დღიდან და აგრეთვე რა უნდა გაკეთდეს მომავალ თვის პერიოდში.

მოხსენების შემდეგ აღნიშნული იქნა რამოდენიმე ნაკლი და იყო პრაქტიკული მითითებები.

მომავალი მუშაობის ცხრილიც განიხილა კრებამ და წაიკითხა მდივანმა თუ ვის რა დაავალა და რომელ რიცხვებში უნდა იქნეს ჩატარებული ესა თუ ის საუბარი. კრებამ ერთხმად დაამტკიცა გეგმა.

სახკორი ვასო.

## კავშირი ეროვნული სკოლებთან.

მეთაურთა სკოლის საარტილერიო განყოფილების კომკავშირის ბიურომ, ბანაკად გასვლის წინ გამოყო ამხანაგები ნაციონალურ სკოლებთან კავშირის დასაჭერად აგრეთვე ჩვენთანაც მომაგრებული იყო მათი უჯრედების წარმომადგენლები. საერთო მუშაობის გაცნობასა და კავშირის უფრო მეტად გასაძლიერებლად ნაციონალური სკოლების საარტილერიო განყოფილების უჯრედის ბიუროს მდივნებმა გადაწყვიტეს საერთო კრების მოწვევა. კრება შესდგა 10 ივლისს ჩვენი სკოლის საარტილერიო განყოფილებაში. კრებაზე ჩვენი კავშირის და მუშაობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა არტგანყ. პოლიტ-მასწავლებელმა, რომელმაც ფართოდ აღნიშნა ჩვენი მუშაობა, მისი ნაკლი და გამოსწორების საშუალებები. მოხსენებები კეთდებოდა ნაციონალურ ენებზე, შემდეგ კი ითარგმნებოდა რუსულად.

პირველად მოხსენება გააკეთა ქ. სკ. არტ. განყ. ბიუროს მდივანმა, რომელმაც აღნიშნა უჯრედის მუშაობა და მისი მიღწევები.

შემდეგი სიტყვით გამოვიდა აზერბეიჯანის შკოლის არტ. განყ. ბიუროს მდივანი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც წარმოებდა დღემდე აძერბეიჯ. სკ. არტ. განყ. უჯრედში.

აგრეთვე მოხსენება გააკეთა სომხეთის სკ. არტ. განყ. ბიუროს მდივანმა რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას თავიანთი მუშაობის გეგმიანობა.

ამხანაგები დიდ ინტერესს იჩენდნენ საკითხების ამოწურვაში, შეკითხვების სახით. გამოტანილი იქნა თავიანთ ენაზე რეზოლიუცია, რომლის შინაარსაც შეერთებულად გაგვაცნობონ გაზეთის საშუალებით კრების თანახმად. ტივერი.

# სამხედრო საქმე განავში.

## მებრძოლის ვალდებულებები ბრძოლაში.

ყოველი მებრძოლი ვალდებულია:

კარგად ესმოდეს თავისი განყოფილების, ოცეულის და ასეულის საბრძოლო ამოცანა; იცოდეს, სად იმყოფება და რას აკეთებს მეზობელი განყოფილება.

მთელი თავისი გამბედაობით მზად იყვეს შეებას მოწინააღმდეგეს ხიშტით და გაანადგუროს ის; ამ მხრივ მაგალითს აძლევდეს თავის ამხანაგებს და აღვივებდეს მათში ბრძოლის ჟინს.

იმოძრაოს და მოთავსდეს ისე, რომ ხედავდეს და ესმოდეს თავისი უახლოესი მეთაურის განკარგულებები.

ყოველთვის ნაყოფიერად იყენებდეს ადგილმდებარეობას შენიღბვისათვის, და როცა საჭიროა, სწრაფად შემოისანგროს.

ყოველთვის დაეხმაროს მებრძოლს ცეცხლით, ხიშტით, ბარით და საერთოდ ყველაფრით, რითაც შეუძლია.

არას დროს არ დატოვოს თავისი ნებით თავისი განყოფილება, ხოლო სხვების გამოკლების შემთხვევაში, შეუერთდეს მეზობელ განყოფილებას და მასთან ერთად განაგრძოს შეტევა.

თუ დაჭრილია და არ შეუძლია მწყობრში დარჩენა, თავისი ვაზნები და გრანატები უნდა გადასცეს ამხანაგს და, უახლოესი მეთაურის ნებართვით გაემართოს მედიკურ დახმარების წერტზე, წაიღებს რა აგრეთვე თავის შაშხანას. მძიმედ დაჭრის დროს—ახოხდეს დაფარულ ადგილას და იქ მოუცადოს სანიტარებს.

განყოფილების მეთაურის ბრძანებით სწრაფად ჩამოიცვას აირმსპობი, განაგრძობს რა მასში ცეცხლს და შეასრულებს სხვა დავალებებს.

ამოირჩიოს სროლისათვის მოხერხებული ადგილი, რისთვისაც დარჩება რა თავისი განყოფილების უბანში, წაიწიოს წინ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, მაგრამ ხელი არ უნდა შეუშალოს მეზობლების ცეცხლსა და მოქმედებებს.

გახსნას ცეცხლი განყოფილების მეთაურის ბრძანებით და აწარმოოს ის მარჯვედ.

პირდაპირი გასროლის დისტანციიდან აწარმოოს ცეცხლი არა მარტო მეთაურის ბრძანებით, არამედ დამოუკიდებლადაც, ამოირჩევს რა მნიშვნელოვან მიზნებს და თვით აირჩევს დამიზნების წერტილს და კორას, მასთან რაც შეიძლება მარჯვედ უმიზნებდეს.

ტყვილად არ ხარჯოს ვაზნები, არ დაკარგოს ისინი და თვალყური ადევნოს მის წესიერ ხარჯვას; შეავსოს ისინი დაჭრილების და დახოცილების მარაგიდან; როცა დაიხარჯება ნახევარზე მეტი ვაზნებისა მოახსენოს განყოფილების მეთაურს შესავსებლად მიმწოდებლების მიერ.

იერიშის მიტანის დროს, იმოქმედოს შეუპოვრად ცეცხლით, გრანატით, ხიშტით, კონდახით, გაანადგუროს და ხელთ იგდოს მოწინააღმდეგე, მისი ტყვიამფრქვევები და მთელი შეიარაღება.

# ავიაცია და ცხენოსანი ჯარი.

მას შემდეგ, რაც ქვეითი ჯარმა შეიძინა კარგი სწრაფმსროლელი ტყვიამფრქვევები, მას საშვალება მიეცა საუცხოვოდ მოეგერებია ცხენოსანი ჯარის იერიშები.

ცხენოსანი ჯარის დარტყმის სისწრაფე ვერ შეეჯიბრება ტყვიამფრქვევის ცეცხლის სისწრაფეს. მით უმეტეს, რომ ცხენოსანი ჯარი საუკეთესო მიზანია ტყვიამფრქვევისათვის.

ეხლა ყველა არმიები სცდილობენ შეიარაღონ ტყვიამფრქვევით თითეული ქვეითი ნაწილის განყოფილება.

ამრიგად ცხენოსან ჯარს წილად ხვდება ქვეითი ჯარისათვის დახმარების გაწევა, დამოუკიდებელი მოქმედებით ქვეითა მწყობრში, განსაკუთრებით კი სამანევრო ომის დროს.

მაგრამ ცხენოსანი ჯარის ერთი თვისება პირდაპირ დაუფასებელია საბრძოლო დარგში.

ცხენოსანი ჯარი—საუკეთესო ძიებაა.

როცა ავიაცია არ იყო მძიებელი სამსახურის მეტი წილი ცხენოსან ჯარს აწვებოდა კისერზე. განსაკუთრებით შორი ძიება.

ავიაციის გაჩენით მოსალოდნელი იყო, რომ საჰაერო მძიებლები სავსებით შესძლებდენ ცხენოსანი ჯარის ძიების მაგივრობას.

მართლაც, თავდაპირველად ეს ასე მოხდა. მაგრამ საჰაერო ძიების წინააღმდეგ არის კარგი საშვალება—შენიღბვა·

იმპერიალისტურმა ომმა უამრავი მაგალითები მოგვცა იმის, თუ როგორ ხშირად საჰაერო ძიება შეცდომაში შედიოდა და მას დანამდვილებით არ შეეძლო ეთქვა, არის თუ არა მოწინააღმდეგე სამძიებლო უბანში.

ჯარები ისეთი ხელოვნებით ინიღბებოდენ, რომ ვერავითარ შემთხვევაში საჰაერო რაზმი მათ ვერ აღმოაჩენდა.

ამიტომაც ცხენოსანი ჯარის ძიებას მართლადაც დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეუძლია. ცხენოსან ჯარს შეუძლია შეამოწმოს საჰაერო ძიების „შედეგები. წინასწარი საჰაერო ძიების მიხედვით ის საუცხოვოდ მოახდენს უფრო ღრმა ძიებას.

ამრიგად ცხენოსანი ჯარი დაუფასებელია ძიებაში და სწორედ ავიაციასთან ერთად.

პ.

# მომჭირნეობის რეჟიმი წითელ-არმიაში

## ამხ. ვოროშილოვის წერილი

**რაში შეგვიძლია და შევსძლებთ მომჭირნეობის გაწევას.**

სამხედრო უწყებაში მომჭირნეობის რეჟიმი უნდა ტარდებოდეს სინამდვილეში და ტარდება კიდეც სამ დარგში,

პირველი რაც მე მხედველობაში მაქვს, ესაა—შემდეგი დაუზოგავი მუშაობა ჯარის სამეურნეო აპარატის გასაუმჯობესებლად და თვით მეურნეობის ფორმების რაციონალიზაცია როგორც ქვევით, ლეგიონებისა და ასეულების სამეურნეო უჯრედებში, ისე ზევით, ჩვენს საოლქო და ცენტრალურ კმაყოფის სამმართველოებში. მკაცრი საკრედიტო დისციპლინა, გასაცემი ფულების პირდაპირი დანიშნულებით ხარჯვა, თავის მოთხოვნილებათა შამოზღუდვა ამისთვის გაღებული საშვალებათა ფარგლებით და ამასთანავე საკვები პროდუქტების თავის დროზე და ხელსაყრელ პირობებში ყიდვა, ტანსაცმლის, იარაღის და საერთოდ სახაზინო ქონებისადმი ფრთხილად და ყურადღებით მოპყრობა—აი მოკლე შინაარსი იმ წესებისა მუშაობაში, რომლებსაც უნდა იცავდენ სამეურნეო ორგანოები წითელ არმიაში. 18 მაისს რევსამხსაბჭოს მიერ გამოცემული ბრძანება № 270 მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ, ამომწურავ მითითებებს იძლევა ამ დარგში.

**აპარატის გამარტივება და მუშაობის მეტი სისწორით წარმოება.**

აპარატის გამარტივება, არა საჭირო გადამცემ ინსტანციების გაუქმება, დაუსრულებელ მიწერ-მოწერისათვის ქაღალდის ხარჯვის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა, ჯარების სამმართველოების მთელი ცენტრალური და საოლქო სისტემის რაციონალიზაცია, მეთაურთა შემადგენლობის რიცხვის აყვანა მეომართა საერთო მასის მიხედვით და ამავე დროს მეთაურთა შემადგენლობის განტვირთვის მოხდენა,—აი მეორე დარგი, სადაც ბევრის გაკეთება შეიძლება მომჭირნეობის რეჟიმისთვის.

მართალია, რეფორმამ, რომელიც ვატარებული იქნა სამხედრო უწყების მიერ 1924 წელში, უკვე საგრძნობლად მოიყვანა ეს მუშაობა სისრულეში, მაგრამ მისი შემდეგი კიდევ უფრო გასწორება შესაძლებელია და ის გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში. ჩვენი სახელმწიფო აპარატი და მის რიცხვში სამხედროც, მასზე დაკისრებული ამოცანების სისრულეში მოყვანის დროს მიეჩვია ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით სიარულს, ე. ი. შტატებით თანამდებობის და სხვათა გადიდების გზით. ამ მოვლენის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლის წარმოება, პირველი ზედმეტ ორგანოების გაუქმების გზით და მეორე კი სასტიკი თვალდევნით, რომ გაუქმებულ თანამდებობის ადგილზე სხვა და სხვა საბაბების გამო არ არსდებოდეს ახალი განყოფილებები როგორც ამას არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, აქვს და შეიძლება ექნეს.

და, დასასრულ, მესამე დარგი, სადაც შეუძლია სამხედრო უწყებას განახორციელოს მომჭირნეობის რეჟიმი—ეს არის მთელი რიგი საორგანიზაციო ღონისძიებებისა. თუმცა, მათ იძულებული ვართ მიუდგეთ უდიდესი სიფრთხილით, რადგან ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული საბჭოთა კავშირის თავდაცვის საკითხებთან. ყველაზე უფრო აქ, ვინემ სხვაგან, შვიდჯერ არის საჭირო გაზომვა, სანამ ერთჯერ მოვსჭრიდეთ. მიუხედავად ამისა, რევსამხსაბჭოს იმედი აქვს რომ ამ დარგშიც იქნება მიღებული დადებითი შედეგები.

**სამხედრო უწყება, მომხმარებელი უწყებაა.**

მართალია, ეს მოხმარება რამოდენიმედ ქმნის პირობების იმ ჯამს მშვიდობიანური შრომისთვის, რომლიდანაც იზრდება ინტენსიური წარმოება, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: სამხედრო უწყება მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელია· მით უფრო მნიშვნელოვნად, სერიოზულად და აქტუალურად უნდა იდგეს მის წინაშე მომჭირნეობის რეჟიმის საკითხი.

ს. ს. რ. კ. ძლიერება ემყარება მის სამეურნეო განვითარებას. შემდეგი მიღწევები ამ დარგში მჭიდროდ არიან დაკავშირებული ვაჭრობის, მრეწველობის საბრუნავ საშუალებებსა და კაპიტალურ აღმშენებლობაში, ახალ და მსხვილ თანხების შეტანის შესაძლებლობაზე, ხოლო საშვალებები ჩვენ, შედარებით მცირე გვაქვს. მაგრამ ისინი უნდა გამოვსძებნოთ, და ისინი გამოიძებნებიან; ამის თავდებია ჩვენი პარტია და მთელი პროლეტარიატი.

**ყველამ უნდა მოიმჭირნეოს.**

ს. ს. რ. კ. უდიდესი დამოუკიდებელი მეურნეა მთელ მსოფლიოში. ამ უძლიერეს მეურნეობაში მთლიანად „ნამცეცებისაგან“ კი შეიძლება შესდგეს მრავალი მილიონი მანეთები. ამიტომ ჩვენ ყველას ცენტრალური მთავრობიდან დაწყებული მუშის დაზგამდე, გლეხის ქოხისა და რიგის წითელ არმიელამდე, უნდა გვახსოვდეს, რომ მომჭირნეობით, სახელმწიფოს დოვლათისა და საშვალებების შამონახვით, თავისი ვალდებულებების პატიოსნად და სინდისიერად შესრულებით ჩვენ ვაგროვებთ და, მაშასადამე ვამრავლებთ ჩვენს სახელმწიფო რესურსებს.

და მხოლოდ ასე, და არა სხვა მხრივ, ჩვენ შეგვიძლია გადავსჭრათ საკითხი, ჩვენი ქვეყნის უფრო სწრაფი აუცილებელი გაფურჩქვნის შესახებ მეურნეობის სოციალისტურად აგების საფუძველზე.

# რკინის გზების მნიშვნელობა ომის დროს

ტეხნიკის არც ერთი გამოგონება არ შეეფარდება თანამედროვე მრავალ მილიონიან არმიების მოთხოვნილებებს ისე როგორც მექანიკური წევა, განსაკუთრებით კი სარკინისგზო.

ამ წევით სწარმოებს ჯარის გადაყვანა—გადმოყვანა, ის ეწევა უდიდესი საბარგულე ცხენების წევის რაზმების მაგივრობას, ახდენს ზურგის განტვირთვას და აძლევს ჯარებს სამანევრო მოძრაობის საშვალებას.

სანამ არმიები შედარებით მცირე რიცხოვანი იყვნენ და სანამ ტეხნიკა იმყოფებოდა თავის განვითარების დაბალ საფეხურზე—არმიების ყოველ მხრივად დაკმაყოფილების საკითხები ადვილი მოსაგვარებელი იყო.

ამჟამად კი არმიის გაზრდასთან ერთად მრავალ მილიონიან შემადგენლობამდი, ყოველგვარ ტეხნიკურ გამოგონებათა გამოყენებით, მძიმე იარაღების ხმარებით, რომლებიც მოითხოვენ ჭურვების უამრავ მარაგს,—არმიის დაკმაყოფილების საკითხი უდიდეს მნიშვნელობას ღებულობს.

რომ თვალსაჩინოთ გავხადოთ მხოლოდ ერთი არმიის მოთხოვნილებათა სურათი—ავიღოთ ასეთი მაგალითი: ჯარისკაცების დასაკმაყოფილებლად ერთი თვის განმავლობაში საჭიროა 450 ათას ფუთი (მარტო პური და კრუპა) ხოლო დანარჩენი პროდუქტები კი ნახევარ მილიონ ფუთამდე.

ცხენებისათვის საჭირო არის ნახ. მილიონი ფუთი ხორბალი და თივა.

თუ დავტვირთავთ მთელი ამ სურსათით მატარებელს საჭირო იქნება 200 რწყვილი მატარებელი თვეში, ე. ი. 13-15 მატარებელი დღე დღე-ღამეში.

ამ სურსათის გადასატანათ ოთხთვალებზე საჭიროა თვიურად 16 ათასი ოთხთვალა ან და 5 ნახ. ათას წყვილ ცხენიანი ოთხთვალიანები დღეში.

ა. პ.

# ჩვენს ცვალებადელთა შორის.

## მეცადინეობა ცვალებადელებთან.

მე-4 ლეგ. მე-3 ტყვიამრფქვევი.

ასეულში წარმატებით მიმდინარეობს ცვალებადელებთან მეცადინეობა. სამხედრო საქმე და სროლები ზედმიწევნით კარგად აქვთ შესწავლილი. ყოველ სადამოობით ტარდება ტყვიამფრქვევით გავლილი მეცადინეობის განხილვა და ვარჯიშები, რომელიც ერთი-ორად აღრმავებს ჩვენს სწავლას.

კარგად შევისწავლეთ წოლით, დგომით, ხოხვით და სხვა შეხამებითი სროლები. ყველაფერი ეს გავლილი იქნა სანგრებში. თეორიული მეცადინეობის გვერდით ამნაირად მიმდინარეობს მისი პრაქტიკაში გადატანა. ეს გარემოება კი მეტად აადვილებს წითელ არმიელებისათვის სამხედრო საქმის შეთვისებას და მისი გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა მდგომარეობაში.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აგრეთვე პოლიტმეცადინეობა. აქაც დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ცვალებადელები. იმედია კიდევ უფრო გაღრმავდება მეცადინეობა, რომ რაც შეიძლება მეტი შევიძინოთ ჩვენს განკარგულებაში დარჩენილ მცირე დროის განმავლობაში.

ა. იმერლიშვილი.

## მიღწევები დიდი გვაქვს.

მე-4 ლეგ. მე 6 ასეული.

ასეულის ცვალებადელებმა ზედმიწევნით კარგად შეითვისეს სამხედრო საქმე და სამსახური. წარმატებით სწარმოებდა აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის მუშაობაც. ამ მოკლე ხნის განმავლობაში აუწონმელად დიდი მიღწევები გვაქვს.

სამხედრო მეცადინეობა—სროლა ხშირად სწარმოებს ასეულში. წითელ არმიელები დიდი ინტერესით ეკიდებიან მას და კარგ შედეგებსაც ვღებულობთ. მიზანში სროლა კარგად ემარჯვებათ.

მეთაურებთან დამოკიდებულება ძლიერ კარგია. არ ყოფილა აგრეთვე შემთხვევა, რომ რომელიმე ლაშქრელს წესიერად არ შეესრულებიოს სამხედრო დისციპლინა. ყველანი კმაყოფილი არიან წითელი ყაზარმით და ხშირად ეუბნებიან თავიანთ მეთაურებს, რომ აქ მიღებულ ცოდნას ფართოდ გაავრცელებენ სოფლად, დაარსებენ სამხედრო კუთხეებს და გააცნობენ მოსახლეობას თუ რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველამ იცოდეს სამხედრო საქმე.

ა. გოგლაძე.

## ბიბლიოთეკა საუკეთესო გვაქვს.

2 რე არტლეგიონი

ლეგიონის 2 დივიზიონს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა—სამკითხველო აქვს, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ცვალებადელების ლტოლვას თვითგანვითარებისაკენ. თუ გასული გამოწვევის დროს ბიბლიოთეკას ეტინებოდა 40 პროც. ცვალებადელებისა, ეხლა ეს რიცხვი 75 პროც.-მდე გაიზარდა.

ამ მოკლე ხანში ბიბლიოთეკამ კიდევ მიიღო 300 მდე სხვა და სხვა შინაარსის წიგნები. მეცადინეობიდან მოსული დაღლილ-დაქანცული წითელ არმიელები, მაინც არ ისვენებენ და მიეშურებიან ბიბლიოთეკისაკენ და კითხულობენ. გვაწუხებს ის გარემოება, რომ არა გვაქვს თავისუფალი დრო.

ბიბლიოთეკაში შესანიშნავი წესრიგია. განაწილებულია ყველა შინაარსის წიგნები ისე, რომ ყველა საკითხებზე შეიძლება სწრაფად სათანადო ლიტერატურის მონახვა და სარგებლობა. წითელ არმიელების მიზიდვას ძლიერ უწყობს ხელს ეს გარემოება.

ბიბლიოთეკაც კარგად ასრულებს თავის მოვალეობას და შესაფერი წვლილი შეაქვს წითელ არმიელთა გათვითცნობიერებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

მე—დი.

## ამოძრავდა სამხკორთა წრე.

მე-4 ლეგ მე-2 ათასეული.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ათასეულში ჩამოყალიბდა სამხკორთა წრე.

წრეში წითელ არმიელების რიცხვი თხუთმეტამდე აღწევს. ყოველ კვირაში ერთი დღე მიმდინარეობს მეცადინეობა. წ. არმიელები კლებლად ცხადდებიან მეცადინეობაზე. წრის ხელმძღვანელმა დაურიგა, წრის წევრებს რვეულები და ფანქრები. ვმეცადინეობთ პროგრამის მიხედვით. იმის შესახებ თუ როგორ უნდა ვსწეროთ წერილები, რა შინაარსის უნდა იყვეს, ვინ იქნება ამა თუ იმ დაწერილ წერილზე პასუხისმგებელი და რას უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება სოფელში დაბრუნების შემდეგ და რაზედ უნდა ვსწეროთ იქიდან.

ყველა ეს კარგათ შეითვისეს ახალწვეულებმა და უკვე დაიწყეს კორესპონდენციების წერა როგორც გაზეთ „წითელ არმიელში" ისე ჩვენს კედლის გაზეთში. წითელ არმიელების ნაწილი ძალიან დაინტერესებული არის კორესპონდენციების წერით. ძალიან დიდი ყურადღება არის მიქცეული ხელმძღვანელის მიერ კორესპონდენციების მოწოდების საქმეზე.

კედლის გაზეთი მოისუსტებდა პირველად, მაგრამ ამჟამად გამოსწორდა კედლის გაზეთიც, სამხკორთა წრის ამუშავებასთან ერთად. კედლის გაზეთი ყოველ მხრივად დამაკმაყოფილებელია ეხლა და დიდი ინტერესითაც იკითხება. მომავალში კიდევ უფრო გამოვაცოცხლებთ მუშაობას.

ვასო.

# წითელი ჯარი და სოფელი

## როგორ ვეხმარებით გლეხებს

1-ლი ლეგიონი

ჩვენი ბანაკის გარშემო სოფლებში უკვე დაიწყეს პურის მკა. გლეხობა არაჩვეულებრივი სიხარულით შეუდგა მუშაობას. პურის მოსავალი იმდენად კარგი სჩანს, რომ სიხარულით ცას ეწევიან. ბევრი მოხუცებულების თქმით ასეთი მოსავალი და ხვავი დიდი ხანია არ ქონია პურსო.

თავისუფალ საათებში ლეგიონის წითელი არმიელები მიეშურებიან გლეხებისაკენ ყანებში და ეხმარებიან პურის მკაზე.

ყველგან დიდი სიხარულით ხვდებიან ისინი ჩვენს ასეთ საქციელს და ადიდებენ წითელ ჯარსა და მის ხელმძღვანელებს.

გლეხების საერთო სიხარულში ჩვენც ვღებულობთ მონაწილეობას და გულმოდგინეთ ვეხმარებით ბარაქიანი პურის მოწევაში.

ვ. ჩაგელიშვილი.

## ჩვენც დავიჭირეთ სოფელთან კავშირი

2-ე ლეგ. 4-ე ასეული

ჩვენც დავისახეთ სოფელთან კავშირის გაბმა. ამ მიზნით 4 ივლისს გამოვყევით სამი ამხანაგი და გავგზავნეთ სოფელ ბანავერში, რათა გაებათ მასთან კავშირი. ჩვენი წარმომადგენლებმა მისვლისთანავე მოაწყვეს კრება, გააცნეს მათ ამ კავშირის მნიშვნელობა, წითელი ჯარის ყოფა ცხოვრება და სხვა. ამასთანავე ერთად ამხანაგები გაეცნენ ბანავირის მოსახლეობის ცხოვრებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოფელში კულტურულ განმანათლებელი მუშაობა მოიკოჭლებს.

გლეხებს ძლიერი სურვილი აქვთ სკოლის და კოოპერატიული დუქნის გახსნისა, მაგრამ თავისი საშუალებები ამისათვის არ გააჩნიათ, ადგილობრივი გლეხკომიც სუსტად მუშაობს არავითარ ფხასა და თაოსნობას არ იჩენს. ყველანი წერა-კითხვის უცოდინარეა. სოფელში ვერ ნახავთ ვერც ერთ მოსახლეს, რომელსაც გაზეთის წაკითხვა შეეძლოს ხმა მაღლა გლეხებისათვის.

ბანაველის მცხოვრებლებს ძლიერ გაეხარდათ წითელი ჯარის წარმომადგენლების მოსვლა. მათ დიდათ ესიამოვნათ ჩვენი სურვილი მათთან კავშირის დაჭერისა. გამოთხოვებისას ჩვენი წარმომადგენლები დაპირდენ ხშირად მოინახულონ სოფელი და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ მათ კულტურულ განმანათლებელ საქმეში.

გორის სამაზრო ხელისუფლებამაც უნდა მიაქციოს ამ სოფელს ყურადღება და გამოიყვანოს სოფელი კულტურული აღორძინების გზაზე.

დ. თავბერიძე.

## მტრის ძიება.

ღამის შავგრემან ყდაზე
მთვარე რძის ღიმილს დაღვრის,
მხედარი ყაიდაზე
ლურჯას უსწორებს აღვირს.

უშნო ხერხემლებს მთების
ვარსკვლავთ ციმციმი ჩითავს,
და არფაჩაის კალთები
აკუნთულ ზლაპრებს ზიდავს.

მხედართა გუნდი ილტვის,
გზა და გზა ფხიზლად ზვერავს.
ტყვიისმფრქვეველის ფილტვი
სუნთქვას დუმილში ჰკერავს...

სდექ!.. ვინ არიან მთაზე?!.
გამოგვადგება ხევი,
ხელი შაშხანას ყბაზე
ცერებზე ტყვიისმფრქვევი!..

და მიძუნძულებს ღამე
როგორც დაჭრილი მგელი,
ტყვიისმფრქვეველთა კაკანს
ლენინაკანი ელის.

დ. ხაზალია.

## ჩვენი დახმარება სოფელს

(6 ე ლეგ.)

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი მეშვიდე კომუჯრედის თაოსნობით გავემგზავრეთ სოფელ კარალეთისაკენ (გორის მაზრა) თანაც გავიყოლიეთ ამხანაგი ექიმი. გაგონილი გვქონდა, რომ ხსენებულ სოფელში ხშირია ავადმყოფობა, მასთან სოფელი მოკლებულია სამკურნალო საშუალებებს. მართლადაც ავადმყოფნი ბლომად აღმოჩნდენ. ამხ. ექიმმა 35 ავადმყოფი გასინჯა და შეძლებისდაგვარად წამლებიც მიაწოდა. ავადმყოფების გასინჯვის შემდეგ მოეწყო სანიტსაათი, სადაც ექიმის მიერ გლეხებს მიეცა სათანადო რჩევა დარიგებები ჰიგიენის დაცვის დარგში და სხვა. გლეხები დიდი ინტერესით და ხალისით უსმენდენ მომხსენებელს და დიდათ კმაყოფილნიც დარჩენ. მათთან ერთად გადავიღეთ სურათი ჩვენი ლეგიონის აპარატით. ყოველივე ამან დიდათ გაახარა სოფლის მოსახლეობა.

უნდა ითქვას, რომ სანიტარული მდგომარეობის მხრივ ეს სოფელი მეტად უწყო სურათს წარმოადგენს. დასახლებული არიან ძლიერ მჭიდროთ. ყოველივე სახლის წინ საქონლის საბაძი აქვთ. აქვე ფეხისადგილი. ყოველივე ამისგან დგება ტალახი, სიბინძურე და საზიზღელი მყრალი სუნი. ცხადია მარტო ჩვენი სანიტსაათი საქმეს ვერ უშველის. საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლებაც ამოძრავდეს გაადვიძოს გლეხების ინიციატივა და გაჯანსაღების გზაზე დააყენოს სოფელი.

სამხკორი ვ. გაგუა.

## ხშირად გვაჩვენებენ კინო-სურათებს

მე 6 ლეგ. 6-სე ასეული

ლეგიონში ხშირად იმართება კინო—სურათები. უკანასკნელად მაინც ძლიერ მოუხშირეს, რაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს ცვალებადელებზე. სურათებს უმთავრესად გვიჩვენებენ რევოლიუციონურს. მოაქვთ ხშირად ქართული სურათებიც. ამ რამოდენიმე დღის წინად გვაჩვენეს ქართული რევოლიუციონური სურათი არსენ ჯორჯიაშვილი. არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე ჯორჯიაშვილის გმირულ საქციელმა. ყველანი გატაცებით შესცქეროდენ მის მოქმედებას.

მადლობის ღირსია ლეგიონის კლუბის გამგე, რომელიც ცდილობს და მოაქვს ნაწილში შინაარსიანი სურათები.

პ. ლობჟანიძე.

## საშეფო სოფელში

მე 3 ლეგიონი.

მესამე რუსის ლეგიონთან ერთად ჩვენს ლეგიონს შეფობის ქვეშ აყვანილი ყავს სოფ. კარალეთი, სადაც აწარმოებს ყოველგვარ კულტ-პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას. სოფელთან მიმაგრებულია მე-7-ე კომუჯრედი, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა სოფელი.

სოფელში ირიცხება სულ 500 კომლი და 1.800 სული. მოსახლეობა ძლიერ მჭიდროთ არის დასახლებული, უმთავრესი მათი საქმიანობა მეურნეობა არის—და მეხილეობა. მეაბრეშუმეობა განვითარებულია სოფელში 1 პროცენ., მეფუტკრეობა 3 პროც. და მეღვინეობა 20 პროც.; სოფელში ირიცხება 3 პროც. კულაკები. საშვალო გლეხები 48 პროც., და ღარიბი გლეხები 49 პროც. სოფელს არ აქვს არც კოოპერატივი და არც სამკითხველო. არის ერთი ოთხწლედი სკოლა. სადაც სწავლობს 130 მოწაფე. სოფელში მთელი მოსახლეობის 40 პროც. უცოდინარია. სკოლის გარეშე დარჩენილია 50 პროც. უადგილობის და უსახსრობის გამო. სოფელში არის 26 ყოფილი წ. არმიელები, რომლებიც აწარმოებენ ყოველგვარ მუშაობას. ლეგიონი ხსენებულ სოფელში შეუდგა მუშაობას პირველი ივნისიდან; მიმაგრებული უჯრედი მთელი ასი პროცენტით ანხორციელებს დავალებას. ამ ხნის განმავლობაში მას ხუთი გაერთიანებული კრება აქვს მოწვეული, სისტემატიურად ეგზავნება სოფელს ჟურნალ გაზეთები, მოწყობილია სამხედრო კუთხე და სწარმოებს მეცადინეობა მოსახლეობის გასამხედროების მიზნით.

11 ივლის ლეგიონის დრამწრე ორკესტრით—მესამე რუსის პოლკის დრამწრესთან ერთად გაემგზავრა ხსენებულ სოფელში წარმოდგენის ჩასატარებლად. საღამოს ოთხ საათზე შევედით სოფელში, სადაც აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი.

მისვლისთანავე დაინახავთ ხელოვნურად შეკეთებულ გორაკზე სასახლეს, რომელიც ნგრევის პერიოდშია მაგრამ დარწმუნდებით რომ აქ ვილაც დიდი კაცი ნაცხოვრება. ჩვენს შეკითხვაზე გლეხები გვიპასუხებენ: აქ ცხოვრობდა ბატონი ერისთავი, ეს გორა ჩვენი ზურგით გაკეთებულია, ეს იყო სოფლის ბატონი და ჩვენ გლეხებს გასაქანს არ გვაძლევდა, მაგრამ ის მისი შვილიანათ დროიანად მოვიშორეთო.—

ამის შემდეგ გლეხებმა დაგვათვალიერებიეს ყოფილი ბატონის ბაღი, რომელიც ეხლა სოფლის საკუთრებას შეადგენს. ბაღი სივრცით ექვსი დესეტინა არის და გაშენებულია მთლიანად საუცხოვო ჯიშის ხილეულობით როგორც გლეხებმა გადმოგვცეს წელს ბაღის მოსავალში აძლევენ 3,000 მანეთს. ბაღში მუშაობს ორი დაქირავებული მებაღე, რომლებიც ღებულობენ თვიურად 20-30 მანეთს.

ვინახულეთ აგრეთვე ბატონი ერისთავის ეკლესია რომელიც ამ ჟამად დაკეტილია.

6 საათი იქნებოდა, რომ მთელი სოფლის მცხოვრებთ თავი მოეყარათ და უსმენდენ მუსიკის ხმას. გადაღებული იქნა რამოდენიმე ცალი სურათი გლეხებთან, გლეხის ქალებთან და ბავშვებთან ერთად; გაიმართა ცეკვა თამაში, სიმღერა და სხვა. როდესაც ყველა ეს დაამთავრეს გაიხსნა საერთო კრება ამხ. ხარაბეგაშვილის მიერ. გაკეთებული იქნა მოხსენება საშეფო სოფელში მუშაობის შესახებ და წითელ არმიის მნიშვნელობის და მათი შეღავათების შესახებ, რამაც გასტანა ორი საათი—გლეხები დაკვირვებით უსმენდენ მოხსენებას და იძლეოდენ შეკითხვებს. კრების დამთავრების შემდეგ წავიდა წარმოდგენა „გამარჯვებულებს არ სჯიან" ერთ მოქმედებათ, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებში. შემდეგ ამხ. რუსების



მიერ შესრულებული იქნა სხვა და სხვა სიმღერები და გასართობები და სრულ 12 საათზე ყველა ნასიამოვნები დაიშალენ.

ლეგიონს ამ მოკლე ხანში განზრახული აქვს გახსნას სამკითხველო და ამასთანავე სოფელს გაუწიოს დახმარება მდინარე ლიახვის ნაპირების გამაგრების საქმეში. ეს მდინარე გადიდებისას გადმოდის ნაპირებიდან და დიდ ზიანს აყენებს სოფელს. ამ მიზნით ლეგიონს განზრახული აქვს წაიყვანოს სოფელში დასახმარებლად ერთი ათასეული ლეგიონიდან და ერთი ათასეული რუსის ლეგიონიდან წერაქვებით და ნიჩბებით, რომლეიც სამუდამოთ შეაკეთებენ ლიახვის ნაპირებს და იხსნიან სოფელს გაჭირვებიდან.

გოგია ჭალელი.

# შვებულთა მზადება ვემზადებით მომავალ მოღვაწეობისათვის

**1-ლი ლეგ. 1-ლი ათასეული**

გრძელ ვადიან შვებულებაში წასვლის მოახლოების გამო, გამოგვყვეს შვებულებაში მიმავალი წითელ არმიელები და დაგვაწყებიეს მუშაობა. უმთავრესად გვიხსნიან სოფლად მუშაობის პირობებს, რა შეადგენს ჩვენს მოვალეობას, რა უნდა ვაკეთოთ და ვისთან უნდა დავიჭიროთ კავშირი. გამოყოფილი იქნენ აგრეთვე სათანადოთ მომზადებული ამხანაგები, რომლებიც გვიწვევენ ხელმძღვანელობას მეცადინეობაში.

ამჟამად გვაცნობენ კოოპერატივების, გლეხკომების, საბჭოების და სხვათა მუშაობას. ფართოდ ვეცნობით აგრეთვე იმასაც, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გლეხთა ფართო მასებში.

წითელ მოლაშქრეები დიდი გულის ყურით უსმენენ ხელმძღვანელებს, ყველა გრძნობს თუ რა დიდი სიმპატიური და დიდ მნიშვნელოვანი დავალებანი ეძლევათ მათ და იშვიათური გულმოდგინებით უსმენენ ყველა დარიგებებს, რომ თავი ისახელონ სოფელში და ასწიონ ამავე დროს წითელი ჯარისა და ყაზარმის ავტორიტეტი.

კანკათელი.

# მუშაობა გავაჩაღეთ

**ცხენ. ლეგიონი.**

ლეგიონის ყაზარმაში დარჩენილ ნაწილში ჩამოვაყალიბეთ სამი წრე: კოოპერაციის, სამხკორთა და სასოფლო-სამეურნეო წრეები.

ხელმძღვანელები სათანადოთ მომზადებული გვყავს. წითელ არმიელები დიდ ინტერესს იჩენენ მუშაობაში. ყველა წრეებში გაჩაღებულია მეცადინეობა. კარგად არის დაყენებული აგრეთვე სკოლის გარეშე მუშაობაც. ლენინის კუთხეებში ყოველ დღე მიმდინარეობს სხვა და სხვა ხასიათის საუბრები.

უკანასკნელად დაიწყო აგრეთვე საუბრები საერთაშორისო მიმოხილვაზე. ამან დიდი დაინტერესება გამოიწვია ამხანაგებში და ყველა ყურადღებით უსმენენ, მით უმეტეს, რომ ყოველთვის ცოცხლად და საინტერესო ფაქტების აღნიშვნით კეთდება საუბრები.

პ. კახიძე.

# სოფლად მუშაობისათვის სამზადისი

**მე-4 ლეგ. 1-ლი ათასეული.**

ჩვენი ათასეულის ცვალებადელები ენერგიულად და ერთსულოვნად ეკიდებიან როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური სწავლების საქმეს. სამხედრო საქმე უკვე პრაქტიკულად ტარდება.

ნაყოფიერი მეცადინეობა სწარმოებს აგრეთვე ათასეულის ლიკსკოლებში. მეცადინეობას კარგად ითვისებენ.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა სოფელში მუშაობისათვის სხვა და სხვა საკითხების დაწვრილებით გაშუქებას. ნაწილიდან წასული ცვალებადელები ჭიანჭველებივით მოედებიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებს და დაიწყებენ იმ საქმის კეთებას, რომელსაც მას ავალებს ჩვენი წითელი ყაზარმა და საბჭოთა ხელისუფლება.

ვ. აფხაიძე.

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ სამ ცალს ერთი თვით 1-ლი ლეგიონის მე-8 ასეულისთვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს 1-ლი ლეგიონიდან: შტაბის უფროს ამხ. კოტრიაძეს და მის თანაშემწეს ამხ. შონიას, სამწყობრო ნაწ. საქმის წარმოებელს—ბაგდასაროვს, სამნეო ნაწილიდან უფროს საქმის მწარმოებელს აკაკი რამიშვილს, ლეგ. მოლარეს ცომაიას, მე-8 ასეულის მეთაურს კაჭახიძეს და მამასახლისს—გეგეჭკორს, ამავე ასეულის მწყობრის თავს არჩუაშვილს და მის თანაშემწეს ოჩიგავას, ლეგ. სკოლის უფროსს მიქელაძეს და მის თანაშემწეს—გძელიშვილს, მე 5 ასეულის პოლიტხელს ამხ. სანი იმნაიშვილს, პარტბიუროს მდივანს—კვიჩაიას.

მე-6 ლეგიონიდან: პოლიტხ. ჩირიაძე ოდიშარიას, მე 6 ასეულის მეთაურს ზოიძეს, მწყობრის თავს—სოხაძეს, პოლიტხელ სამყურაშვილს, 1-ლი ათას. სამხედრო კომისარს გოშაძეს, ათასეულის თავს ჯაფარიძეს და მე-2 ასეულის პოლიტხელს ამხ. ლოგუას.

იმედია გამოეხმაურებიან ყველა ჩამოთვლილი ამხანაგები და შეუწყობენ ხელს ჩვენი გაზეთის ფართო მასებში გავრცელების საქმეს.

ვ. ჩაგელიშვილი.

# პასუხი შეკითხვებზე

— ვადაჭკორიას. თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 925 25 წ. საექიმო კომისიის მიერ მოცემული შვებულება ავადმყოფობის გამო გეთვლებათ ნამდვილ სამხედრო სამსახურად.

— მოხაშელს. სამნეო ასეულს ეკუთვნის შტატით პოლიტხელი.

— სამნეოს. სამნეო ასეულმა უნდა გაიაროს სამწყობრო მეცადინეობა.

— მასვე. ვინაიდან თქვენ არ ხართ ზედმეტი მსახური, ამიტომ არ გეკუთვნით პოლიტხელის ჯამაგირი.

— ვაზს. როგორც წითელ არმიელი თქვენ დროებით იყავით მიწვეული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფში, ამიტომ მასწავლებლის ჯამაგირი არ გეკუთვნით.

— კოკილაშვილს. მუშფაკში შესვლა შეიძლება მხოლოდ რომელიმე ორგანიზაციის მიერ მივლინებით. გამოცდების ჩაბარება აუცილებელია.

— ტობანიერს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ წაიკითხეთ „წითელ არმიელი“ № 134.

— ზანგურაშვილს. წაიკითხეთ კოკილაშვილის პასუხი.

— სერგოს. რედაქციას არავითარი დახმარების გაწევა არ შეუძლია. საავადმყოფოდან ექიმებმა თუ არ გაგწერეს, სჩანს, რომ თქვენი ავადმყოფობა ხანგრძლივ წამლობას მოითხოვს.

— გუმბერაძეს. ჯარში გაწვევის შემდეგ ოჯახში მომხდარი ცვლილება არ განთავისუფლებთ. ყოველ შემთხვევაში მიმართეთ ტერსამმართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას.

— შენგელიას, ზარნაძეს, თავდგირიძეს. მუშფაკში მიღების შესახებ წაიკითხეთ „წითელ არმიელი“ № 134.

— ა—ძეს. უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში შეგიძლიათ შეღავათიან ფასებში ტყიდან მასალის მიღება. (ბრ. № 1520—24 წ.)

— ო—რიძეს. გაწვევის დროს თქვენი ძმა შეღავათებით ვერ ისარგებლებს, რადგან მის გარდა ოჯახში რჩება შრომის უნარის მქონე—დედა და მამა.

— ზა-ლს. არ შეგიძლიათ ოქროს კბილის ჩასმის მოთხოვნა (ბრ. № 1520—25 წ.)

— გო—რიას. ტერნაწილში გადარიცხული არ იქნებით. (ბრ. № 834 და № 965—24 წ.)

# ჩვენი ფოსტა

გელაშვილს. ლექსი ბანაკად ძლიერ სუსტია. არ გადის. სწერეთ ნ… წილის საქმიანობის შესახებ.

ა. სარჯველაძეს. წერილი არც ჩვენ ჩამოვრჩებით არ გადის. ასეთ… ზოგადი ხასიათის წერილები არავითარ წარმოდგენას არ ი… ლევა მუშაობის შესახებ, სწერეთ უფრო კონკრეტიულად.

ნადარეიშვილს. (ცხენ. ლეგ.) წერილი ღამით მანევრების შესახებ… არ გადის. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ჭანაგომელს. თქვენს წერილში არ არის აღნიშნული ნაწილის ვინ… ობა. არ დაიბეჭდება.

ლომილაძეს. ლექსი ცვალებადელების სიმღერა არ გამოდგა.

ბულბულს, ბაჩულაშვილს და 1-ლი ლეგ. სკოლის კურსანტს. თქვე… წერილი კურსანტების მუშაობის შესახებ მეტად ზოგადი ხასი… თისა და მშრალია. საჭიროა ფაქტები იმის შესახებ თუ რ… აკეთებთ და როგორ ითვისებთ მეცადინეობას. წერილები ა… გადის.

მე-5 ლეგ. კლუბის უფროსს. თქვენ გეგზავნებათ ივლისის თვე… სისტემატიურად 82 ცალი გაზეთი. ხოლო ამ თვის პირველ… ორი ნომერი 62—ცალი მოიკითხეთ ფოსტაში.

მახვილს. თქვენი წერილი გადაეგზავნა 1-ლ ლეგიონის სამხკომს.

სამხკორ შხამს.—წერილი „დისციპლინა უნდა განვამტკიცოთ“ გ… დაეგზავნა 1-ლ დივიზიის უფროსს.

ოაზისს—წერილი „მოგვაქციეთ ყურადღება“ გადაეგზავნა 1-… ლეგიონის მეთაურს.

ამხ. ხიშტს. (1 ლეგ. მე-6 ას.) წერილი „სისუფთავე ჯანმრთელობ… თავდებია“—გამოდგება კედლის გაზეთისთვის. წერილი „ვ… გამოასწორებს ამ ნაკლს“ ეხება სრულიად უმნიშვნელო საკ… თხს. არა ღირს ამიტომ ამისთანაზე დახარჯვა ენერგიის … უამრავი ქაღალდის

ვ. საჯაიას—საკითხის მოგვარება შეიძლება ადგილობრივ. არ და… ბეჭდება.

ვ. ულუმბერაშვილს—უმნიშვნელოა. არ დაიბეჭდება.

ქ. მინდიაშვილს—წერილი „ეს დაუდევრობის ბრალია“ არ დაიბ… ჭდება.

მ. ნიკოლაიშვილს—წერილი „ექიმები არ გვაქცევენ ყურადღებას“ გ… დაეგზავნა დივიზიის უფროს ექიმს.

საქორელს—„მოგვეცით პარიკმახერი“ და „პური გამოუცხობი გვ… ძლევა“ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ბუნებისშვილს—გაზეთების მიღების შესახებ მიმართეთ ბიბგამგ… წერილი არ დაიბეჭდება.

მოთვალთვალეს—წერილი „გამოასწორეთ“ გამოდგება კედლის გ… ზეთისთვის.

მნახველს (გორი)—წერილი ლატარიის შესახებ არ დაიბეჭდე… ფულის წაგებაში და ჩხუბში დამნაშავენი არიან არმიელე… და არა ლატარიის პატრონი.

სამხედრო ჰოსპიტლის წითელ არმიელებს: ამხ. ბუდალაშვილს, ნარ… ზაშვილს, ოსანიძეს და არეთაძეს —თანახმად სამხედრო სამ… ხურის წესებისა სამსახური სამხედრო ჰოსპიტალში არის იმა… სამხედრო ბეგრის მოხდა. გადაყვანა არ შეიძლება.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-რველ საარტ. ლეგიონის მე-4 საგ. ბატარეის კომუჯრედ… შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატად მიღე… შესახებ და კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვის შესახებ, კაზარო… და ამხ. სტურუას. ამხ. ალექსი არსენისძე კაზაროვი არის გლე… თვით მუშა, კომკავშირის წევრი, განათლებით დაბალი, მცხოვრე… ქალაქ თბილისში, თხოულობს კომპარტიის კანდიდატად მიღებას.

ამხ. კოლია ანტონისძე სტურუა არის გლეხი, თვით მუშა … ტელიგენტი, კ. პ. კანდიდატი. მცხოვრები ქ. სამტრედიაში. თხო… ლობს კომპარტიის წევრად გადარიცხვას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამ ამხანაგების შე… ხებ, გვაცნობეთ 6 დღის განმავლობაში საგაუბიცო ბატარეის კ… უჯრედში.

მე-4 ბატ. კომუჯ. პ. მ. მდივანი ბარათაშვილი.

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შე… ტანილი აქვთ განცხადება ა.ლ.კ.კ. წევრებს საკავშირო კომუნისტ… პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. გავაშელი ემელიანე ფილიმონისძეს, 2. ცხვიტარია ხა… ტონ ალექსისძეს, 3. ტატულოვი ივანე კარპოსძეს და 4. ჭეიშვი… შალვა ირაკლისძეს.

კომუჯრედი სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც რაიმე უარყოფ… აქვთ ზემომოხსენებულ ამხანაგების შესახებ აცნობოთ მას (კო… ჯრედს) 15 დღის განმავლობაში.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი ახალაშვილი.

# სამხკორის კუთხე

## მუშსოფლკორების მესამე საკავშირო თათბირის დადგენილებანი.

**სამხედრო პროპაგანდა და მუშსოფლკორების ამოცანები.**

1. მოსახლეობის გასამხედროების ამოცანა შეიძლება მოყვანილი იქნეს სისრულეში მხოლოდ, საბჭოთა ყველა ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. მუშსოფლკორების ორგანიზაციებს შეუძლიათ და კიდევაც ფართო დახმარება უნდა გაუწიონ სამხედრო პროპაგანდის საქმეს. ამისათვის საჭიროა: ა) სამხედრო პროპაგანდის საქმის დაყენების გაშუქება საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებში და სოფლებში, უნდა აღინიშნოს მიღწევები და ნაკლულოვანებანი სამხედრო კუთხეების, სამხედრო ცოდნის წრეების და სხვა სამხედრო-სპორტიულ ორგანიზაციების მუშაობაში. ბ) გაშუქებული უნდა იქნეს ტერიტორიალური სისტემის, წვევამდე მზადებისა და სამსახურის გარეშე მომზადების პრაქტიკული მუშაობა. გ) ხელი უნდა შეუწყოთ სამხედრო განყოფილებების შემოღებას კედლის გაზეთებში, დ) უნდა მივიღოთ მონაწილეობა გამოწვევისა და დემობილიზაციის, საცდელი მობილიზაციის და მანევრების კამპანიების ჩატარებაში. უნდა გაშუქდეს იმ წითელ არმიელთა ოჯახებისადმი დახმარების საკითხები, რომლებიც გამოწვეული არიან ჯარში და გაშვებული გრძელვადიან შვებულებაში.

2. ამ მუშაობის სწრაფად და ნაყოფიერად ჩატარების უმთავრესი პირობაა მუშსოფლკორების კავშირის გამაგრება სამხკორებთან. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მუშსოფლკორებსა და ახკორების უმეტესი ნაწილი ხვდება არმიაში (ომიანობის დროს მუშსოფლკორების პროცენტი არმიაში კიდევ უფრო გაიზრდება). ამიტომ ეხლავე უნდა ეცნობოდეს მუშსოფლკორებს წითელ არმიაში მუშაობის თავისებურებანი.

აუცილებელია ხდებოდეს: ა) სამხკორებსა და მუშსოფლკორების გაერთიანებული კრებები და საღამოები, კედლის გაზეთების გამოფენა და სხვა; ბ) მუშსოფლკორების მომზადება სამხედრო კამპანიების (გამოწვევა, შეკრებები და სამხედრო სკოლები, წითელი არმიის წლის თავი და სხ). ჩატარების საკითხებში, ურთიერთ წარმომადგენლობა მუშსოფლკორებისა და სამხკორების კონფერენციებზე; გ) მუშსოფლკორების მიზიდვა სამხედრო ცოდნის წრეების მუშაობაში, მუშსოფლკორების გაცნობა წითელი არმიის მშენებლობის ამოცანებისადმი.

3. ცვალებად შემადგენლობის და შვებულ სამხკორთა უმეტესი ნაწილი მუშაობს არმიის გარეშე საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებში და სოფლებში. საჭიროა გაძლიერდეს ამ სამხკორების მიზიდვა მუშსოფლკორების წრეებში და გამოყენებული იქნეს მათი გამოცდილება კედლის გაზეთებში სამხედრო განყოფილებების დაყენების მიზნით.

4. მუშსოფლკორების მოძრაობის სახელმძღვანელო ჟურნალებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამხკორების მუშაობას და მუშსოფლკორების სამხედრო პროპაგანდაში მონაწილეობის საკითხებს. სამხედრო განყოფილებები მუშასოფლკორების ჟურნალებში, უთმობენ რა ადგილს სახელმძღვანელო მასალებს სამხკორთა მოძრაობის საკითხების შესახებ, ამასთანავე ერთად უნდა აშუქებდენ სამხკორთა მუშაობის პრაქტიკასა და თავისებურებას და შეუწყონ ხელი მუშსოფლკორებსა და სამხკორების შორის კავშირის განმტკიცებას.

# განცხადება

**ქართულ ნაწილების საყურადღებოდ.**

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლამ გამო… ქართულ ენაზე შიფრესის წიგნი „პოლიტიკური მუშა… ტერიტორიალურ ნაწილებში“

წიგნი შეიცავს 153 გვერდს და ღირს 1 მანეთი

ნაწილებს, რომლებსაც სურთ შეიძინონ აღნიშნუ… წიგნი მიმართონ სკოლის ბიბგამგეს.

**დაიკარგა** გორის სამაზრო ახკომკავშირის კომ… ტის მიერ გაცემული საწევრო წიგ… № 12807. ლონგინოზ ნაზმიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუ… ქმებულად.

ნ. დ. ს. ც. — სამხედრო სტამბა ქუცნაშვილის ქ. № 8. — პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.